დანართი 4-EP-QA 1.1

## უმაღლესი (აკადემიური) საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების ინსტრუქცია

### 1. კურიკულუმის სტრუქტურა

1.1. საბაკალავრო, სამაგისტრო, დიპლომირებული მედიკოსის/სტომატოლოგის, სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა (შემდგომში – პროგრამა) უნდა აკმაყოფილებდეს წინამდებარე დოკუმენტით დადგენილ მინიმალურ მოთხოვნებს და მასში მითითებული უნდა იყოს:

ა) პროგრამის სახელწოდება (ქართულად);
ბ) ფაკულტეტის დასახელება
გ) პროგრამის ხელმძღვანელი / ხელმძღვანელები / კოორდინატორი;
დ) მისანიჭებელი კვალიფიკაცია (ქართულად და ინგლისურად);
ე) პროგრამის მოცულობა კრედიტებით;
ვ) სწავლების ენა;
ზ) საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი;
თ) პროგრამაზე დაშვების წინაპირობა;
ი) სწავლის შედეგი;
კ) სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები;
ლ) სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა;
მ) საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა (სასწავლო გეგმა);
ნ) დასაქმების სფეროები
ო) ინფორმაცია პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური რესურსის შესახებ;
პ) ინფორმაცია პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი მატერიალური რესურსის შესახებ;.
ჟ) დამატებითი ინფორმაციის სახით სასურველია მიეთითოს, სტუდენტთა რა რაოდენობის მომსახურება შეუძლია პროგრამას.

კურიკულუმის ნიმუში იხილეთ დანართში 4.1- EP-QA 1.1.

### 2. პროგრამის სახელწოდება და მისანიჭებელი კვალიფიკაცია

2.1. პროგრამის შემმუშავებელი პირი/პირები, სტრუქტურული ერთეული უფლებამოსილია, პროგრამას შეურჩიოს სახელწოდება; დასაშვებია, პროგრამის სახელწოდება არ ემთხვეოდეს მისანიჭებელ კვალიფიკაციას, მაგრამ უნდა ასახავდეს პროგრამის შინაარსობრივ მხარეს და არ იწვევდეს დაინტერესებულ პირთა შეცდომაში შეყვანას.
2.2. უმაღლესი განათლების კვალიფიკაცია არის სწავლის შედეგი, რომელიც მიიღწევა აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამის დაძლევით და დასტურდება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ გაცემული დიპლომით.
2.3. პირველი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში არსებული მოკლე ციკლის კვალიფიკაციის სახელწოდება უნდა მოიცავდეს ტერმინს – „შუალედური კვალიფიკაცია“, მიმართულების ან/და დარგის/სპეციალობის მითითებით.
2.4. პირველი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის კვალიფიკაციის სახელწოდება უნდა მოიცავდეს ტერმინს – „ბაკალავრი“, შესაბამისი მიმართულების და/ან დარგის/სპეციალობის მითითებით.
2.5. მეორე საფეხურის კვალიფიკაციის სახელწოდება უნდა მოიცავდეს ტერმინს – „მაგისტრი“, შესაბამისი მიმართულების, დარგის/სპეციალობის და/ან ქვედარგის/სპეციალიზაციის მითითებით.
2.6. სამედიცინო განათლების ერთსაფეხურიანი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის

დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს ენიჭება დიპლომირებული მედიკოსის/სტომატოლოგის აკადემიური ხარისხი, პროგრამის შინაარსიდან გამომდინარე.

2.7. მესამე საფეხურის კვალიფიკაციის სახელწოდება მოიცავს ტერმინს „დოქტორი“, მიმართულების და/ან დარგის სპეციალობის მითითებით.

## 3 . პროგრამის მოცულობა კრედიტებით

3.1. საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს არანაკლებ 240 კრედიტს.

3.2. საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაში შესაძლებელია ძირითადი სპეციალობისა (არანაკლებ 120 კრედიტი) და დამატებითი სპეციალობის (60 კრედიტი) კომბინირება შემდეგი პრინციპით:
   ა) ძირითადი სპეციალობა და თავისუფალი კომპონენტები;
   ბ) ძირითადი სპეციალობა, დამატებითი სპეციალობა და თავისუფალი კომპონენტები;
   გ) ძირითადი და ორი დამატებითი სპეციალობა.

3.3. დამატებით სპეციალობაში სტუდენტს არ ენიჭება აკადემიური ხარისხი. დამატებითი სპეციალობა უნდა მოიცავდეს 60 კრედიტს.

3.4. მიღწეული ზოგადი და დარგობრივი კომპეტენციები აისახება დიპლომის დანართში. დამატებითი სპეციალობის (არსებობის შემთხვევაში) შესახებ შესაბამისი ჩანაწერი აისახება დიპლომში.

3.5. მასწავლებლის მომზადების მინიმუმ ერთწლიანი, 60-კრედიტიანი პროგრამა შეიძლება განხორციელდეს როგორც ბაკალავრიატის პროგრამის ფარგლებში, ასევე ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამისგან დამოუკიდებლადაც. კურსდამთავრებულზე გაიცემა მასწავლებლის მომზადების სერტიფიკატი.

3.6. დიპლომირებული მედიკოსის/სტომატოლოგის საგანმანათლებლო პროგრამები მოიცავს შესაბამისად 360/300 კრედიტს.

3.7. სამაგისტრო პროგრამის მოცულობა განისაზღვრება 120 კრედიტის ოდენობით.

3.8. სამაგისტრო ნაშრომის წილი შესაძლოა იყოს 20-30 კრედიტი.

3.9. დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს არანაკლებ 180 კრედიტს;

3.10. დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტის/კომპონენტების კრედიტების ჯამური რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 60 კრედიტს.

3.11. რეგულირებადი საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების და კრედიტების განაწილება უნდა მოხდეს დარგობრივი სტანდარტის შესაბამისად (არსებობის შემთხვევაში).

3.12. რეგულირებადი საგანმანათლებლო პროგრამის არანაკლებ 75% ეთმობა რეგულირებადი პროფესიისათვის აუცილებელი კომპეტენციების გამომუშავებას.

## 4. სწავლების ენა

4.1. პროგრამა შეიძლება განხორციელდეს ქართულ ან უცხოურ ენაზე.

4.2. პროგრამაში უნდა მიეთითოს სწავლების ენა, პროგრამის შესაბამისად.

4.3. საგანმანათლებლო პროგრამის მხოლოდ უცხოურ ენაზე წარმართვა დაშვებულია, თუ ეს გათვალისწინებულია საერთაშორისო ხელშეკრულებით, ან შეთანხმებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან.

4.4. უცხოურ ენაზე დასაშვებია საგანმანათლებლო პროგრამის ცალკეული სასწავლო კომპონენტის შეთავაზება ქართულენოვან ანალოგთან ერთად ალტერნატივის სახით. მისი გავლის წინაპირობას წარმოადგენს უცხოური ენის შესაბამის დონეზე ფლობის დადასტურება.

## 5. პროგრამის მიზანი

5.1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანში განსაზღვრული უნდა იყოს სტუდენტის მიერ კომპეტენციების გამომუშავების მექანიზმი და დასაქმების სფერო.

5.2. პროგრამის მიზნები უნდა შეესაბამებოდეს დაწესებულების მისიას, ნათლად უნდა იყოს

ჩამოყალიბებული, იყოს დასაქმების ბაზარზე ორიენტირებული და მიღწევადი;

5.3. დასაქმების სფეროს განსაზღვრისას რეკომენდებულია აქტიური კონსულტაციები პოტენციურ დამსაქმებლებთან, კურსდამთავრებულებთან, სტუდენტებთან და აკადემიურ პერსონალთან, რათა მათთან ერთად განისაზღვროს ის კონკრეტული თეორიული ცოდნა და პრაქტიკული უნარები, რაც მოეთხოვება კურსდამთავრებულს შრომის ბაზრის კონკრეტული სფეროს მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.

## 6. პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

6.1. პროგრამაში განსაზღვრულ უნდა იქნეს მასზე ჩარიცხვის/დაშვების კონკრეტული წინაპირობები, რითაც უზრუნველყოფილი იქნება გამჭვირვალობა და შესაბამისი ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვა, რაც, თავის მხრივ, განაპირობებს სტუდენტის მიერ სწავლის შედეგების მიღწევას;

6.2. დაშვების წინაპირობის განსაზღვრის მიზანია პირის კომპეტენციების წინასწარი იდენტიფიცირება, რათა შესაძლებელი იყოს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა.

6.3. უმაღლესი განათლების I საფეხურზე სწავლის უფლება აქვს სრული ზოგადი განათლების მქონე პირს. საბაკალავრო და დიპლომირებული მედიკოსის/სტომატოლოგის საგანმანათლებლო პროგრამებზე მიღების წინაპირობაა ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარების დოკუმენტი, რომელიც ანიჭებს აბიტურიენტს სტუდენტის სტატუსს საქართველოს მოქალაქეებისათვის. უცხო ქვეყნის მოქალაქეების პროგრამაზე დაშვების წინაპირობა განისაზღვრება კანონმდებლობის შესაბამისად.

6.4. უმაღლესი განათლების II საფეხურზე, მაგისტრატურაში, სწავლის უფლება აქვს არანაკლებ ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს. მიღების წინაპირობაა ერთიანი სამაგისტრო გამოცდა და საუნივერსიტეტო გამოცდა სპეციალობაში.

6.5. უმაღლესი განათლების III საფეხურზე, დოქტორანტურაში, სწავლის უფლება აქვს არანაკლებ მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს. მიღების წინაპირობაა საუნივერსიტეტო გამოცდები სპეციალობაში და უცხო ენაში. B2 დონის საერთაშორისო სერტიფიკატის წარმოდგენის შემთხვევაში კონკურსანტი თავისუფლდება უცხო ენის ჩაბარების ვალდებულებისაგან.

6.6. დამატებითი წინაპირობების არსებობის შემთხვევაში, სტუდენტების შერჩევის პროცედურა უნდა იყოს ღია, გამჭვირვალე და სამართლიანი, რაც განისაზღვრება კონკრეტული პროგრამით ან სპეციალური (დამატებითი) საფაკულტეტო რეგულაციებით.

## 7. სწავლის შედეგი

7.1. სწავლის შედეგი არის განაცხადი იმის შესახებ, თუ რა უნდა იცოდეს (ცოდნა და გაცნობიერება), რისი გაკეთება უნდა შეეძლოს (ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების, დასკვნის, კომუნიკაციისა და სწავლის უნარები) და რა ღირებულებები უნდა ჰქონდეს პირს პროგრამის დასრულების შემდეგ.

7.2. სწავლის შედეგები აღიწერება ზოგადი (ტრანსფერული) და დარგობრივი კომპეტენციებით, უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ეროვნული ჩარჩოს შესაბამისი საფეხურის აღმწერისა და კონკრეტული დარგობრივი მახასიათებლის (არსებობის შემთხვევაში) შესაბამისად.

7.3. სილაბუსში უნდა მიეთითოს მხოლოდ ის კომპეტენციები, რომელთა გამომუშავებასაც მიზნად ისახავს შესაბამისი კომპონენტი.

7.4. პროგრამაში უნდა მიეთითოს ინფორმაცია დასაქმების სფეროებზე.

7.5. საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამებში უნდა მიეთითოს ინფორმაცია სწავლის გაგრძელების შესაძლებლობებზე.

## 8. სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები

8.1. უნდა აღიწეროს სწავლების რა მეთოდები იქნება გამოყენებული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების პროცესში;

8.2. პროგრამაში უნდა მიეთითოს სწავლების/სწავლის მეთოდები, რომლებიც უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული შედეგების მიღწევას.

## 9. სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა

9.1. კრედიტის მიღება შესაძლებელია მხოლოდ სტუდენტის მიერ სილაბუსით დაგეგმილი სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ;

9.2. სასწავლო კურსის მაქსიმალური შეფასება 100 ქულის ტოლია.

შეფასების სისტემა უშვებს:

ა) ხუთი სახის დადებით შეფასებას:

ა.ა) (A) ფრიადი – შეფასების 91-100 ქულა;

ა.ბ) (B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;

ა.გ) (C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;

ა.დ) (D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;

ა.ე) (E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.

ბ) ორი სახის უარყოფით შეფასებას:

ბ.ა) (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;

ბ.ბ) (F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

9.3. საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტში, FX-ის მიღების შემთხვევაში დამატებითი გამოცდა დაინიშნება დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში (აღნიშნული ვალდებულება არ ვრცელდება დისერტაციის, სამაგისტრო პროექტის/ნაშრომის, შემოქმედებითი/საშემსრულებლო ნამუშევრის ან სხვა სამეცნიერო პროექტის/ნაშრომის მიმართ).

9.4. დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი/კომპონენტების შეფასების სისტემა:

ა) ფრიადი (summa cum laude) – შესანიშნავი ნაშრომი;

ბ) ძალიან კარგი (magna cum laude) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აღემატება;

გ) კარგი (cum laude) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს აღემატება;

დ) საშუალო (bene) – საშუალო დონის ნაშრომი, რომელიც წაყენებულ ძირითად მოთხოვნებს აკმაყოფილებს;

ე) დამაკმაყოფილებელი (rite) – შედეგი, რომელიც, ხარვეზების მიუხედავად, წაყენებულ მოთხოვნებს მაინც აკმაყოფილებს;

ვ) არადამაკმაყოფილებელი (insufficient) – არადამაკმაყოფილებელი დონის ნაშრომი, რომელიც ვერ აკმაყოფილებს წაყენებულ მოთხოვნებს მასში არსებული მნიშვნელოვანი ხარვეზების გამო;

ზ) სრულიად არადამაკმაყოფილებელი (sub omni canone) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს სრულიად ვერ აკმაყოფილებს.

9.5. შეფასების სხვა დამატებითი მოთხოვნები (მათ შორის სამეცნიერ-კვლევითი კომპონენტების) იხილეთ აწსუ-ს სტუდენტთა შეფასების სისტემის მარეგულირებელ დოკუმენტებში.

## 10. სასწავლო გეგმა

10.1. პროგრამის სასწავლო გეგმა უნდა მოიცავდეს ყველა კომპონენტს, რომლებშიც ხდება კრედიტების მინიჭება.
10.2. კომპონენტის მითითებისას უნდა აღინიშნოს: სახელწოდება, მოცულობა კრედიტებით, სტუდენტის დატვირთვის სახეები (ასტრონომიულ საათებში), სწავლების სემესტრი.
10.3. სასწავლო გეგმაში მითითებული არჩევითი საგნების კრედიტების რაოდენობის ჯამი უნდა აღემატებოდეს არჩევითი საგნებისათვის პროგრამით გათვალისწინებულ კრედიტების საერთო რაოდენობას.
10.4. სასწავლო გეგმას უნდა დაერთოს სწავლის შედეგების რუკა, რომელიც მოიცავს პროგრამის ყველა კომპონენტს და მათ ურთიერთმიმართებას პროგრამით გათვალისწინებულ კომპეტენციებთან.

სასწავლო გეგმის ფორმის ნიმუში იხილეთ დანართში 4.2- EP-QA 1.1.

## 11. სასწავლო კურსის სილაბუსის სტრუქტურა

11.1. სასწავლო კურსის სილაბუსში მიეთითება:
ა. სასწავლო კურსის/მოდულის სახელწოდება;
ბ. ავტორი, ლექტორი/ლექტორები, რომლებიც უძღვებიან სასწავლო კურსის ლექციასა და სამუშაო ჯგუფის მუშაობას, მათი საკონტაქტო ინფორმაცია;
გ. სასწავლო კურსის კოდი;
დ. სწავლების სემესტრი;
ე. სასწავლო კურსის/მოდულის ტიპი (სავალდებულოა თუ არჩევითი);
ვ. კრედიტების რაოდენობა და საათების განაწილება სტუდენტის დატვირთვის შესაბამისად;
ზ. ფაკულტეტისა და პროგრამის სახელწოდება;
თ. დაშვების წინაპირობები;
ი. სასწავლო კურსის ფორმატი;
კ. სასწავლო კურსის/მოდულის მიზნები;
ლ. სწავლების/სწავლის მეთოდები;
მ. სწავლის შედეგები;
ნ. სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა და კრიტერიუმები;
ო. სასწავლო კურსის შინაარსი;
პ. ძირითადი ლიტერატურა;
ჟ. დამხმარე ლიტერატურა;
რ. სხვა სასწავლო მასალა.

11.2. სილაბუსის ფორმა მტკიცდება აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილებით.
სილაბუსის ნიმუში იხილეთ დანართი 4.3- EP-QA 1.1

## 12. ადამიანური რესურსები

12.1. საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება ადამიანური რესურსით, რომელშიც შედის შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე აკადემიური პერსონალი, მასწავლებელი, მკვლევარი ან მოწვეული სპეციალისტი.
12.2. პროგრამას უნდა დაერთოს პროგრამის განმახორციელებელი შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე აკადემიური პერსონალის ბიოგრაფიული მონაცემები (CV) და შესაბამისი კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტები, რომელთა ასლები უნდა ინახებოდეს ადამიანური რესურსების მართვის სამსახურში.
12.3. შესაბამისი კვალიფიკაციის მქონედ ითვლება პირი, რომელსაც აქვს პროგრამით

გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია, რაც შეიძლება დადგინდეს ამ პირის აკადემიური ხარისხით, მიღებული სპეციალური განათლებით, პუბლიკაციებით ან პროფესიული გამოცდილებით.

## 13. უცხოენოვანი პროგრამები

13.1. უცხოენოვანი პროგრამის განხორციელების შემთხვევაში პროგრამას უნდა დაერთოს საერთაშორისო ხელშეკრულება ან/და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს თანხმობა.

## 14. ერთობლივი პროგრამები

14.1. პროგრამა შეიძლება განხორციელდეს პარტნიორ დაწესებულებებთან: საქართველოს ან უცხოეთის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან ან სამეცნიერო–კვლევით ცენტრებთან თანამშრომლობით საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და აწსუ აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებული ერთობლივი პროგრამების განხორციელების წესით.

14.2. ერთობლივი პროგრამების განხორციელების წესი იხილეთ ბმულზე http://doc.atsu.edu.ge/geo/xarisxi/geo/ertoblivi%20programebis-wesi.pdf.